

მოსე ჯანაშვილი

კაკ-ელისენის სიტყვები

[საინგილოს სოფლებიდან]

ამოღებულია მ. ჯანაშვილის მიერ გამოც. წიგნიდან
„ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი“ 1896

[მთელი წიგნიცა მაქვს]

დამატება.

კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვები,
რომელთაგან
ზოგი აღარ მოიპოვება ქართულს ლექსიკონში და
ზოგი გადასხვაფერებით იხმარება.

ქართველები და ქართული ენა. *)

ყველანი იმას ვამბობთ, რომ ქართული ენა მეტად მდი-
დარი ენააო, მდიდარიო არა-თუ მარტო თავისი საგრამატი-
კო ფორმებით, არამედ ლექსთა სიმრავლითაც. ეს მართალი
თქმაა. ხოლო, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის არავინ არა
ზრუნავს მშობლიური ენა საფუძვლიანად შეისწავლოს და გვა-
ცნობოს მისი მშვენიერება, თვალ-წინ გადაგვიშალოს ის საუნ-
ჯე მეტყველებისა, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლო-
ბაში დაიმუშავა და შეიძინა ქართველთა გონებაში და ჭკუაში.
უეჭველია, ასეთი შრომა თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს ქარ-
თველთა წარმატებისა და წინსვლის საქმეს და თვით მშრომე-
ლსაც საპატიო ადგილს მოუპოვებს საქართველოს მოღვაწეთა
შორის, რომელიმე ენის სულისა და გულის შემეცნება დიდი
ღვაწლია, ვინაიდგან ამ შემეცნებისათვის საჭიროა ხანგრძლივი
და მუყაითი შრომა, ფიქრი, განუწყვეტელი ჩხრეკა-ძიება, ბე-
ჯითი შესწავლა ძველის ხელთ-ნაწერებისა, შედარება და შე-
თანხმება სხვა-და-სხვა კუთხის სიტყვებისა და ამავე
კუთხეებში
დაშთენილ სიტყვა-ფრაზების გამომზევება და სხვა.

*) ეს წერილი შარშან დავბეჭდეთ „ივერიაში“ და დღეს
ვურთავთ კაკ-ელისენში შეკრებილ სიტყვათა წინასიტყვაობად.

არ არის ისეთი ენა, რომ მას, თავისი წინმსვლელობის
დროს, მრავალი სიტყვა არ გაჰქვავებოდეს და ამ გაქვავებულ-
გაუქმებულ სიტყვათა მაგიერ სხვა ახალი (ხშირად უცხო ენის)
სიტყვა არ შემოედოს ხმარებაში. ხოლო შემჩნეულია, რომ
მრავალი სიტყვა, რომელიც შემდეგ თაობას აღარ ესმის, წი-
ნანდელ თაობისათვის ყველა ესეთი სიტყვები გასაგები ყოფი-
ლა და მაშინ არც ერთი სიტყვა, აღმნიშვნელი რომელიმე
ცნებისა, გაუგებარი და ანუ გაქვავებული არ ყოფილა. თუ
ეს ითქმის საზოგადოდ რომელიმე ენის შესახებ, მით უმეტეს
ითქმის იმისთანა ენის შესახებაც, როგორიც ქართული ენაა,
რომელსაც აქვს თავისი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 2500

წლის ისტორია.

სიტყვების გაქვავება და კილო-კავების გაჩენა დამოკიდებულია მრავალ გარემოებებზე, რომელთაგან უაღრესნი არიან:

ერთისა და იმავე ტომ-მოდგმის წარმომადგენელთა შორის მისვლა-მოსვლის სიძნელე და მწერლობის უქონლობა, მისვლა-მოსვლის სიძნელე დამოკიდებულია გვარ-ტომის ადგილ სამყოფელს გეოგრაფიულ შენობაზე: მაგარი და შეუვალი ხევები, დელეები, დიდი მთები, უგზოობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა და სხ. დიდად აბრკოლებენ ცივილიზაცია-კულტურის მოფენას ქვეყანაში და აფერხებენ აგრეთვე ენის ძლევა-მოსილობით გავრცელებასაც ერთისა და იმავე ერის მამულ-დედულში. ამისთანა ყოფაში სიტყვების გაქვავება, ენის კილო-კავებად დაყოფა, მით უფრო აუცილებელია, თუ ერს ვერ შეუქმნია. თავისი აზრისა, ფიქრისა და მისწრაფების გამოსახატველი ნიშნები-ანბანი და ვერ დაუარსებია მწერლობა მშობლიურს ენაზე ამ ყოფაში არის დღეს ლეკური ენა, რომელიც მისვლა-მოსვლის სიძნელისა და მწერლობის უქონლობის გამო გადაშლილა მრავალ შტო-კილო-კავებად და ელის დაღისტნის ახალს ჰომიროსს ანუ ჰეროდოტეს, რომ ეს ლეკური კილო-კა-

– 86 –

ვები ისევ შეიკრას, დაზავდეს, შეილიოს და აღჩაფდეს საერთო ლეკური ენის წყაროდ.

ენათა მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ სიმრავლე გაქვავებულ სიტყვათა და კილო-კავებისა არის დიდი სიმდიდრე ამა თუ იმ საერთო ენისათ; როგორც რომელიმე მდინარე დიდდება თავისი ნაკადულების შემწეობით, ისე ენაც, თავისის წინ სვლის დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზრდოს თვისის კილო-კავებიდამო, უამისოდ იგი დიდ მანძილს ვედარ გაივლის, საფანელი შემოაკლდება, გაღატაკდება და სწორედ ის დაემართება, რაც ქვიშრობში მიმდინარე მდინარეს, რომელიც, სათავეებში წყარო ნაკადულების სიცოტავისა გამო, ზღვამდის ვედარ უწევსო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მამა-პაპას ჯერ ისევ ქრისტეს წინა დროსვე ჰქონია წერის ნიშნები და მერე დაუარსებია თავისი ენაზედ უმდიდრესი ლიტერატურა, მაინც, ვიმეორებთ, მიუხედავად ამისა, ჩვენში დაშთენილია მრავალი კუთხე, საცა ამირანისებურად და ხელ-უხლებლად მაგრობს აუარებელი სიმდიდრე ჩვენის ენისა, აუარებელი საუნჯე, შეძენილი ჩვენთა ღვაწლით შემოსილ მამა-პაპათა მიერ. ამგვარი კუთხეებია ხეცურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, წებელდა, აფხაზეთი, აჭარა, ლაზისტანი, მცხე, ქიზიყი და კაკ-ელისენ-ჭარი და არა თუ ამ კუთხეებში, არამედ თვით საკუთარს კახეთსა, ქართლსა და იმერეთშიაც კაცი მო-

ნახავს მრავალს სიტყვა-ფრაზას, რომელიც ადგილობრივ იხმა-რება და საერთოდ კი აღარა, საჭიროა ეს აუარებელი მასალა შემოვკრიბოთ, შევისწავლოთ, ავსუხოთ და ეს შრომა რომ შესრულდება, მაშინ ჩვენი, ისეც მდიდარი, ლექსიკონი ერთი-ორად გადიდდება, ხოლო ენა-მზეობაც ჩვენის ენისა. იმატებს, და უფრო გაბრწყინდება და შარავანდოსანი შეიქნება.

– 87 –

როგორ უნდა შესრულდეს და ვინ უნდა ითაოს ეს დი-დი და დიადი საქმე?

როგორც ვიცით, ჩუბინაშვილის ლექსიკონი დღეს წერა-კითხვის საზოგადოების კუთვნილებაა და თაოსნობაც ამ საქმე-ში უნდა ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებას. იტყვიან, წერა-კით-ხვის საზოგადოებას არ ექნება არც შეძლება და არც მატერი-ალური ძალა გაუძღვეს ამ ძნელად შესასრულებელ საქმესაო. მართალია, არ ექნება არც ძალა და არც შეძლება, რასაკვირ-ველია, თუ დავივიწყეთ, რომ ამ საქველმოქმედო საფუძველ-ზედ დამყარებულ საზოგადოებას დამხმარებელნიც ქველ-მოქმედნი უნდა ჰყავდეს, განა ცოტანი არიან საქართველოს კუთ-ხეებში განათლებულნი და მამულისათვის თავ-განწირულნი პირნი, რომელთაც შეუძლიანთ შეიძინონ ჩუბინაშვილის ლექ-სიკონი და მასში ჩასწერონ ის, რაც დაშთენილა მათს სამშობ-ლოში და საზოგადო ლექსიკონში კი არ არის! ყველგან სა-ქართველოში გვევლებიან მრავალნი, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმეს გული დაუდონ და ნება-ნება, ახალ-ახალ სიტყვა-ფრაზების მოგონებისა და-გვარად ჩასწერონ თავიანთებური სი-ტყვები ცალკე რვეულებში და მერე გამოუგზავნონ წერა-კით-ხვის საზოგადოებას, რომელიც მისდამი გამოგზავნილ მასალას შესაფერ ადგილს მიუჩენს ლექსიკონის დასტამბვის დროს. თუ რა ფასი აქვს ამგვარს შრომას, ეს სჩანს თუნდა იქიდან, რომ რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ პროვინციალურ სიტყვების ჩამწერლებს ყოველ ახალ სიტყვის აღმოჩენისათვის შეაძლია ორ-ორი შაური! მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ – თუნდაც წერა-კითხვის საზოგადოებას შეძლებაც ჰქონდეს, – აღნიშნული ღვაწ-ლი ისეთი წმინდაა, რომ ყოველი შეგნებული ქართველი მო ვალეა უსასყიდლოდ დაეხმაროს სამშობლო სიტყვიერებას და მიჰბადოს ფუტკარს, რომელიც ყვავილების სუნნელებას თავ-

– 88 –

ლად აქცევს და მერე თავისს ნაყოფით თითონაც სარგებლობს, კასაც უტკბარუნებს პირს და ღმერთსაც სანთელს უნთებს...

კერძოდ მით უფრო საჭიროა განზნეულ სიტყვათა შე-მოკრება, რომ დღეს მეტად გამრავლდა რიცხვი განდევილთა და გარეწართა. ეს წინდაუხედავნი, იბოვიან-რა თავისს კუნჭუ-

ღში ასიოდ ადგილობრივ სიტყვას, რომელიც საერთო ლექსიკონში არ არის, ყვირიან: „არიქათ! აი სად ყოფილა ახალი ენაო! ჩვენ თურმე სხვა ენა გვქონია“ და სხ.

კაკ-ელისენ-შაკიხ-წუქეთს (ნაწილია ზაქათალი-სა და ნუხის მაზრებისა) სცხოვრობენ: ქართველები (ინგილოები), რომელთა რიცხვი ოფიციალურ ანგარიშით 13^{1/2}, ათასი სულია და ლაპარაკობენ ქართულად; შაკიხლები-უდები, რომელთა რიცხვი 1,000 სულზე ცოტა მეტია და წუქეთლები – წაკურლები, რომელნიც რამდენიმე სოფლად მოსახლობენ წაკურსა და კაკ-ელისენში. უდების ენა ამ წაკურლების ენის მონათესავეა; იგინი მართლ-მადიდებელნი არიან და გურჯიებად იწოდებიან; წაკურლებიც. აგრეთვე მაჰმადიანობენ. კაკ-ელისნის ქართველების უმეტესი ნაწილი მაჰმადიანია და დანაშთენი ქრისტიანე.

აღვნიშნავ ადგილობრივ კერძობას კაკ-ელისნის ქართულისას.

ა) ყველა სიტყვას, რომელსაც სამწერლო ენაზე ა) ბოლოს უზის „ი“, ეს „ი“ ეკვეცება, ვითარცა: ცხენ, ღორი, ირემ და არა ცხენი, ღორი, კაცი

– 89 –

და სხ. და ბ) სიტყვას ხშირად აკლდება „მ“, ვითარცა, წარედ, მწოვედ, (მწვავე), წერალ (მწერალი), ღდეღ (მღვდელი) და სხ.

ბ) ა – თი, ე-თი, ო. თი და უ-თი დასრულებულ სიტყვებს ბოლოში ემატებათ „დ“, ვითარცა: მამად, ხედ, სოკოდ, კუდ... (ანუ კუვ) და სხ.

გ) ხმები „ძ“ და „ჯ“ გამოითქმიან რბილად: ზ – დ და ჟ – დ, ხოლო «ჟ» ისევ მეფობს.

დ) ერთად შეყრილი ხმოვანები – უი (ძველად) და «ვი» (აწ) – კაკ-ელისენში გადაქცეულან იმ ხმად, რომელიც აღინიშნება ფრანგული ასოთი „u“, ხოლო ხმოვანები „უე“ (აწ „ვე“) გამოითქმის ისრე, ვითარცა ფრანგულივე „eu“. მაგ.

u: გურიგუინი (გვირგვინი) – გარგან, კუიცი (კვიცი), – კუ, ხუიხუინი (ხვიხვინი) – ხუხუნ და სხ.

eu: ღვედი (ღუედი) – reud, გუერდი (გვერდი) გეურდ, ყუელი (ყველი) – yeul, კუერცხი – კეურცხ და სხ.

ხან-და-ხან «უა»-ც eu-დ გამოითქმის, მაგ სიტყუა – სიტყეud; უი-ს შუაში რომ უხმო იჯდეს

მაინც ეს ხმოვანები ერთმანეთს ელევიან და «ა»-დ იქცევიან: სულიკი (სვლიკი) – სლუკ; წურილი (წვრი-ლი)-წრულ; კუნიტი (კვნიტი) – კნატ; ასრევე უე-ც, მაგ: კუნეტა (კვნეტა) – კნეუტად, კუნესა (კვნესა) – კნესლა, ხურეტა – ხრეუტა.

შენიმ. ხმები eu და u არიან აგრეთვე სვანურსა,

– 90 –

უდურსა, წახურულსა და ლეკთა ენებში.

ე) ხან-და-ხან მარცვლები (სიტყვაში) ერთურთის მიბაძვით ერთნაირად გამოითქმიან, მაგ: ომოდ (ამოდ), ჩომოდ (ჩამოდ), მეუხეურ (მოხვეური), კუკუშტავ (კვი-რისტავი), euხეუსდ (ეზო), სარსულად (სირსველად).

ვ) პირველ პირში (ორივე რიცხვებისა) ავი (აღ-ვი) იცვლება ოდ-დ: ოდყონ (ავიყვანე), ოდლ (ავი-ლე), წოდყონ (წავიყვანე) და სხ.

ზ) შესმენილს ბოლოში ებმის „ყ“, რომელიც ზოგჯერ უდრის „ხოლმე“-ს და ზოგჯერ აღნიშნავს პიროვნებით ნაცვალსახელს, მაგ: ვჭომყ, ვჭამ ხოლ-მე; მაქ, გაქ, აქ, გოქ, გაქოყ, აქოყ, (გაქვთ, აქვთ).

ეს «ყ» უდრის სვანურს «ხ», მაგ.

მყავ, გყავ, ჰყავ, გვყავ, გყავაყ, ჰყავაყ.

მაყა, ჯაყა, ხაყა, გვაყა, ჯაყახ, ხაყახ (სვანურად).

მინდ(ა), გინდ(ა), ჰუნდ(ა), განდ, გინდაყ, ჰუნდაყ, მაკუ, ჯაკუ, ხაკუ, ნაკუ, ჯაკუხ, ხაკუხ (სვ.)

ვარ, ხარ, არი (ს), ვართ, ხართ, არიან.

ხვარი, ხარი, არი, ხვარიდ, ხარიდ, არიხ (სვან.)

„ყ“-ს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობაც: „გა-კეთებინებთ“ რომ ვსთქვათ, ვერ გავიგებთ აქ რომელი ნაცვალ სახელია ქვემდებარედ, მე – თუ ჩვენ. ამ გაუ-

– 91 –

გებრობის ასაცილებლად იხმარება ყ: გაკეთებინებყ, ე. ი. მე თქვენ, – და გაკეთებინებთ, ე. ი. ჩვენ თქვენ.

—

ჴ) მრავლობითი რიცხვი წაჭურულისა და ყუბაჩის ლეკთა ენებში სწარმოებს მარცვლებით „ბა“ „ბე“, „თე“, „ბუ“; **ყუბაჩურად**: კალ (სახლი), ჯულ-ბა (სახლე-ბი), უსულ (ხე) – უსულბა (ხეები), ადამთე (კაცები, კაც-თა), უცბე (ძმები); **წახურულად**: მუჯ (მუხა) – მუჯ-ბი, (მუხეები), სუვა (მთა) – სუვაბი, არაბა (ურემი)–არა-

ბაბი, ჰედ (ჰედა) – ჰედბი(დედები), ია (გზა) – იაკბი (გზები).

შენიშ. უდური სიტყვები დანიშნულია ასოთი «უ» და წახურული – „წ“. აქა-იქ მოგვყავს აგრეთვე მეგრული და სვანური სიტყვებიც, რომელიც აღნიშნულია ასოებით „მ“ და „ს“.

აბლაყ, უფერული ცხენი, ქათამი (ნახე საბას ლექსიკ. „ამლაკი“).

აგებამ, გება; ს. ლი-გემ, უ. ჭება.

აკლანზვა (კლანზვა), დამკლავება; აიკლანზა, დაიმკლავა ანუ დაიკარწახა; გურ. აკაპიწება.

ალაფ, საქონლის საკვებავი (ზზე, ბურდო, თივა და სხ.).

– 92 –

აკალკა, მიწის პირიდან ბალახის მოპარსვა მჭრელი ბარითა და ადგილის გაკალოვება.

ამ დროს, სვ. ამ დრჷვს, უ. მე ვადა.

ამაჰწეველ, აღმართი გზაზედ (ამოსასწეველი).

ამოგდინგავ, ამოგადებ ძირიან-ფესვიანად.

ამომურკა: კალთად ომოჰმურა, კალთა ამოუხვია.

ამ (ამს), ის (აის); ამს მინა? ის ვინ არი? ამს თაის, აის მთაა.

ამლ	{	აილე;	{	ოამლ	{	ავილე;	{	წოამლ	{	წავილე;
ამლტან		ოამლტან		წოამლტან						
გოამლ	{	გავიტანე,	{	ავიტანე;	{	მაამლ	{	მოამლ	{	მოამლტანე.
გოამლტან		მაამლტან								

ამყონ, აიყვანე; ოდყონ, ავიყვანე; მოდყონ, მოვიყვანე, მადყონ, მოიყვანე, მადყონა, მოიყვანა. წოდყონ, წადყონ, წადყონა, წოდყონით, წადყონით, წადყონეს.

აჟანკურ, არჯაკელი.

არამერამ, არამარა.

არანი-ქარ, არანის მხრის ქარი.

არდევა (დევ), დევი, სვ. დავ.

ასტა, ასცდა; დაასტინა, დააცდინა, შესტა, შესცდა.

ასტამ, ასტამი, სვ. ასტამ, უ. ისტამ.

აყარ, სხვენი, чердакъ (საბას ლექსიკონში: „აყარი, სხვენის ლატანი გინა საკიდარი“). (მყვები

აყოლაჲ	{	ატყლომა;	{	ნუ მეყოლები	{	ნუ ამტეხიხარ,	{	ნუ
ატყეხეჲ		ნუ მეტეხები						

ახლ, ახლო

ახლი-წილ, დანიშნულ დაწინდული ქალის მოსაკითხავი
ბაზბალ, დიდდუმიანი ვერძი. (კერძი.

ბათათ, მსუნაგად მომტორავი, ბათათა.

ბაკანი, დიდი პინაკი; კუმბაკანაჲ, კუს ბაკანი, სარ-
ქველი; სვ. ფაკან, ჯამი; უ. პინაკ.

ბალ, ბალი; მ. ბული, ს. ჰებ, უ. ბაჰი, წ. ბალი.

ბალღუნჟ, ბალღოჯი.

ბანგლ, ბანჯგელი, წვრილი ბეწვი.

ბანდ. ცხელი ქვაბის შესადგამ-გადმოსადგამი ნაჭრები

ბაწარ, მატყლის ძაფი, ღაზლა.

ბებერ, დედაბერი; მ. დედიბი, ს. დედბერ.

ბებრაჲ, ბებია, დიდედა.

ბზიკ, კრაზანა, оца; მეგრ. და გურ. ბზიკი.

ბზიტ, (ნიშნის გება-დაცინვა. დაქადებით დამუქრებუ-
ლის გასტუმრება). ბზიტ, ალბად, წარმოსდგა
სიტყვიდამ აბზუება, ბზ!, ბზუკ!

ბიზაჲ, ბიძა; მ. ჯიმადი (ძმადი?), ს. ბუბა.

ბიაჲ, კომში, ბია; უდურ. ფუშა.

ბიბილაჲ, ბავშვთა ენაზედ ლამაზი.

ბიდ, კატის ულვაში.

ბლენ, ბნელი. [теніе

ბოლქვი (საბას. ლექსიკ.) – луковица, луковичное рас-

ბოლეზაჲ, ძლიერი ცხელება, (ანთება?). (ნაჭერი

ბორტოჲ, გორახი, комъ; ბორტოჲ, კაზალა (ყველის

ბოქვენი (საბას ლექსიკ.), უ. ბუქუნ, წ. ჰუქუნ, მ.

– 94 –

ქვარა (ქორა), ს. მაჭიკ (შეად. გაჭიკნული,
როჭიკი, მაჭიკი).

ბოდოლაჲ, ღაბუა (ქათამი).

ბოდრიალ, ყვირილი ირმისა ანუ ღმუილი მოზვრისა.

ბრეჲ, ბრინჯისაგან (ჩალთუქისაგან) გაცლილი კანი.

ბრეკ, დაბრეკულ, косолапый.

ბრინჟ, ბრინჯი, უ. ბირინზ; წ. ბრინზ.

ბრულ, მაყვლისა ან ეკლის დაბურული ბუჩქი, ბარდი.

ბუდრუგუნაჲ, პაწია ქოხი, будка; გურ. ოქოქი.

ბუკ ბუ; მ. ბუ (ღუ), ს. ღორღოლ, უ. გუგელ,

ბუზან, მუშტი (სპარს.), ს. ჯუგმარდ. [წ. გოვაბი.

ბუთქ-ბუთქი, გროვ გროვად აბეთქებული მცენარე.

ბურველაჲ, ობობა (ბურვა, დაბურვა), გურ ბორ-

ბურნა, ქინქლა (იხ საბას ლექსიკ.). [ბალა,

ბურზღუმ, კრიკინა (საბას ლექსიკ. ბურძღენი, ყურ-
ძნის კლერტი»).

ბურჟულაჲ კუნწულა, ბურჯღული; გურ. ბურჩხი.

ბღუნვამ, ბობღვა, ბღუნვა.

გაგამ, მიუხვედრი. несмысленные.

გადაბიჭებს, გადაბიჯება.

გადაამ, გადადი, გოდმოდ, გადმოდი.

გადნაშობ, საშეშედ გადაჭრილი ტყის წარავი.

გალფა-ყბიან, ნამეტურ პირდიდა კაცი.

გალაღლაღება, полоскать, полоскаться.

განარებული, ეკალ შერჭმულსავით გაბრაზებულო,
ახურებული (გასათხოვარ ქალის შესახებ).

– 95 –

გამ, გადი; გომოი, გამო, გამოდი.

გარუსპება, შერცხვენა.

გატანებული, დედუფლის მაყრიონი; გომოტანებულ,
ნეფის მაყრიონი.

გაფრანგდა, საშინლად გაბრაზ-გაცხარდა; გურიაში:

გაიფრანგა, იარაღს პირი გაუბრუნდა.

გაშფოთება, შებმული საქონელი სიცხე-პაპანაქები-
საგან რომ შეწუხდება, გალექდება.

გაჩიება (ჩიება), საიდუმლოს გამხელა; მ. ჩიება.

გაჩერება (ჩქერება), გამეტება; როგორ გაიჩქერი?
როგორ გაიმეტე.

გაწინტვა (წინკვა), თითო-თითოდ რომ მოუგო ვისმე
და ხელ-ცარიელი დასვა, გაგწინტ, მოგიგე სრუ-
ლად (ალბად სიტყვიდგან წინდი).

გაჯერვა, გატება; გაჯერ, გატებე; ნაკჯერ, პურის ნატები.

გეულაბრიმამ, ანკარა (ქვემძრ.). [ფედიას.

გეურც *), ახლოს; გეურცგეურც, ახლო ახლო; ს.

გზას წასვლა, იოლად წასვლა (თათრ. „იოლა გეთ-
მალ, გზას წასვლა).

გიჟ-გიჟ, ძროხის დასამაკებლად მოზვრის წაქეზება.

გირც, пирожок (მოხარშული).

*) წარმოსდგება სიტყვიდგან გ ვ ე რ დ ი . გ ვ ე რ დ ს ანუ
გ ვ ე რ ც და აქედგან გეურც. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით
იხმარება მესხურ დავითნის ქრონიკაში და იწერება ასე: გუჭრც
(გვ. 89.)

– 96 –

გამოუკდა, გამოუდგა.

გორ, გვარი; გორ, საიქიო ერთის გვარეულობისა.

გრეჰმა, რჩოლა, (გურემა).

გრიკამ, მეგრულა ქათამი.

გრილომ, ჩრდილი; საგრილომ, ქოლგა (თათრ.).

გრიჩ, სარჩოლად მისევა.

გროშ, დაროშვილი; გროშვა, როშვა (საბას ლექსიკ.

„გროში, მოსხოსავით“), გურ. ხოროში.
გუთან, უ. ქუთან, წ. ქოთან.
გულ, მ. გური, ს. გვი (გუ), უ. უკ, წ. ჰიკ.
გურგურ, ქუხილი, გრგვინვა; უ. გრუნეხა.
გუგო (გოგო), ქალი, გოგო; ს. დინა, უ. ხინარ.
გაგან, გუგუნი.
გულანდ, გულადმა.
გულყევამ, შიგნიერობა, გულ-ღვიძლი.
დაამხალა, მწვავედ სცემა.
დაასტინა, დააცდინა; დასტომილ, დაცდენილი (საბას
 ლექს. «დასტომილი, დაცტომილი».
დაბაჟლანი, ბაჯაჯლანა.
დაზრგვა, нагрузить.
დად, მდადე, მ. დადე, ს. დადუ.
დადაშამ, ზედაშის ქვევრი,
დაკანჭლვა, ავადმყოფობისაგან კაცს სიხმელე რომ
 დაემართება.
დაკლიტ, დაკეტე; დოკლიტი, დავილუპე; ენამ ამა-
 დაკმენა, დაკბენა. [კლიტ.

– 97 –

დაკოპვა, შახმატის მსგავსად საჩალთუქე ადგილის
დალაკვა, случка лошадей. [დასერვა.
დაიდა, დიად, მეტად; დაიდა კამს, უფრო კარგია.
დაორსულდა, ყანა შეთქვირდა.
დამსო, დაივსო, დაილუპა; დამკლიტა, დაილუპა.
დაჟ, დაჯე (დაჯექ); ჟის, ზის.
დაქანება, დარხევით ჩამოყრევინება თხილისა, თუთისა,
 სხლისა და სხ.
დაყივდა, დაღივდა.
დაყუჟღვა, обнимать.
დაშენა, ცემა; დამიშინა, მცემა.
დაწუობა, შერიგება.
დახრა, ნიგვზის ანუ წაბლის ხის ბლერტა ალატით.
დაკუჩვა, მტვრევა, დამღევა; მერცხალ დაკვეჩ, მერც-
 ხალი დავძლიე.
დაჰბტო, დაჰხვდა; დახტომამ, დახვდომა, შეხვედრა.
დგეანა, რასმე რომ ხელი მოავლო და გადისროლო;
 გდგეანავ, წყალში ტყაპანს გაგადენ.
დენგრ, უტეხარი და შეუვალი ლელი, ბიძამლ-ეკლით
 დაბურული ტყე, (საბას ლექს. „დენგრი, ცხოვართ
დესტამზუმ, პუმპულა, დასტამზო. [ნეხვი»].
დიდგე, ძროხის მოსატყუებელი ძახილი.
დიჩ, ძროხის გასაგდები ხმა.
დილბარ, ალუბალი.

დილლაჲ, დილა; უ. დამდამ, წ. მიჭედინ.
დინგ, ჩალთუქის საცეხვაკი მანქანა.

7

– 98 –

დინუორაჲ, (მც.)

დოგახორხორა (დაგვახორხორა), რაიმე სანუგებროთი
მთელი ოჯახი ანუ ამხანაგობა გაგვახარა.

დომფალ, დომფალი, უკუტოდ გამოხარშული პარკი,
ხოლო კუტიანად გამოხარშული ყაჭია.

დოყ, მცენარის ნორჩი ყლორტი. (ნახე ჩუბინ.

დუდღუბა, გომბიო. [ლექსიკ.).

დუმბაჲ, ქათამი, რომელსაც ბოლო არა აქვს (აქედ
გან დუმბაძე).

დაუ, დიყვი.

დანქ, მორი, ბოკო.

დანიაჲ, დუნია, მსოფლიო. იმ დანიაში, საიქიოს, ამ
დანიაში, სააქაოს;

დღეჲ, დღე; მ. დღა, ს. ლა-დელ, უ. ღე (ღი), წ. ჰიდ.

ენაჲ, ენა; მ. ნინა, ს. ნინ (ლეკურად ნინო, დედა).

ენატლაკია, პირმეუნახავი, ენატანია.

ემაზნ, სრულიად (ალბად სიტყვითგან ძან).

ერამუკ, უშობელი ფურკამბეჩი.

ვაზიზირაჲ, ვაზის ძირა (მც.)

ვამშუან, тревога, (ვაიუშველებელი).

ვამ-ჰარამ-ჰეჲ, სამგლოვიარო მოძახილი.

ვარდ, ვარდი; მ. ვარდი, ს. ვარდ, უ. ვარდ, წ. ვარდ.

ვარიაჲ, ვარია (მამლაყინწას გარდა).

ვაშლ, ვაშლი; მ. უშქური, ს. ვისგვ, უ. ერ, წ. ერ.

ვაშკაც, ვაჭიკაცი. გურ. ვაშკაცი (ალბად სიტყვიდ-
გან ვაშა და არა ვაჭი).

– 99 –

ვირ, გოდრის დასადგმელი სამფეხა „მაკრატელი“.

ზალაჲ, ძალუა.

ზალ, რძალი, მ. ნოსა, ს. თელღრა.

ზალ, ძალა.

ზამაჲ, ცოლისთვის ქმრის მამრი ბიძაშვილები. (ზამა
სიტყვიდგან ძმა, ძამია (იხ ზამაჲ.)

ზამანაჲ, ხანა, эпоха.

ზაჰყა, კაკალთა შორის ყველაზე მსხვილი კაკალი (ნა-
ყოფი); ზაჰყა-ზაჰყა, დიდრონი კაკალი ანუ თხი-
ლი; ზაჰყა, კაკალ-თხილის გასატანი (თამაშობა-
ში) კაკალი.

ზგლუნ, скользкий, საგლინავი, ლიპი.
ზედგარ, ზედადგარი; საზედგარი, ცეცხლიდგან ზე-
 დადგოის გადმოსადგამი კავი.
ზემზემ, ზემო მხრიდგან; ქომქომ, ქვემო მხრიდგან
ზემ, მზე; მ. ბჟა, ლაზურად მჟორა, ს. მიჟ, უ. ბელ,
ზემ, რმე; მ. ბჟა, ს. ლჯე [წ. ვირელ.
ზემზემ, ზევ ზევით, сверхъ, черезъ; სახლების ზემზემ
 გადაფრინდა.
ზემთი, ზემოდგან; ზეჯთი იქნა, ზენას ძალით იქნა.
ზემრა, ძერა.
ზიანა, რძიანა, მ. ბჟალა, ს. მჰლჯადრა,
ზივ, მძივი, მ. ძია, ს. ძივ.
ზილ, ძილი; მეზინზილებ (ზღაპრებში), მეძინება.
ზინყზე დეეცა, უკანა ტანზე დაეცა.
ზისმა, მზის მადლმა (ფიცვილია).

– 100 –

ზმა, ძმა (ზამად, ძამი, ძამია), მ. ჯიმა, ს. ჯიმილ.
ზომოდთიან, ზემო მხარეს; ქომო-თიან, ქვემო მხა-
ზონზ, ძონძი, ს. ძუნძ. [რეს.
ზრო, ღერძი, ძრო.
ზროხა, რქოსანი საქონელი; ფურ, ძროხა, ს. ფук.
ზუნგელა, მოგანგლული.
ზუკ, ძუ; მ. ჯუა, ს. ჯუა.
ზარკ, ძირკვი; ზარკიან კაც, ძირეული კაცი; ომოგ-
 ზარკავ, გაგაქრობ, ძირეულ-ფესვიანად დაგკარ-
 ზარხან, ძირხვენა. [გავ.
თავ არ არის, ჯერი არ არის. თავი, ჯერია.
თაკარა, წისქვილის ბორბალი.
თავერიალ, საქონლის თავ-ქალას ტყავი.
თავსაპარსი, მკვდარზედ შავების გასახდელი და თავ-
 წვერის საპარსი დღე.
თაფლ, მ. თოფური, ს. თვი, უ. უჭ, წ. ითუ.
თეთრ, ფული, თეთრი.
თეთრო, ბისტი. გურ. სვეტი.
თეჟანა, ჩონგურის დასაკრველი ბლის ქერქი.
თით, თითი, მ. კითი, ს. ფხოლე, წ. ტიბ.
თიან, სპილენძის დიდი თაბახი; უ. თიან, წ. თიან.
თმა, თმა; მ. თომა, ს. ფათვარ, უ. ფოფ (შეადარე
 ფაფახ-ს), წ. ჭარ.
თოვშ, თოქშ!
თოლ, მ. თოლი, ხევსურ. თოლი, ს. თე (თელ)
თორე, მთვარე, თოარე; მ. თუთა, ლაზურ, თუთა,

– 101 –

ს. დომდულ. აფხაზ. ამზა; თеиза, თვე, თთვე;
 მ. თუთა, ს. დომდ. აფხაზ, ამზა.
თორიალებად, თვალიერება.
თოხმახ, ხის ჩაქუჩი, გურ. კორკოტანა.
თუარემ (თუარ), თორე (მ), თუარემ; სვ. ადო. თუარ
 დაიკოცებიან.
თუთაბალია, მალალური (ეს სირი „თუთაბალია!“-ს
 გაჰკივისო და არა „ბიჭო-გოგისა.“)
თხელ-ხინკალ, ატრია.
თხილ, თხილი; უ. ერეყ, წ. ერეყერ.
თხლავად, ძაან თხელკანიანი ყურძენი.
ივაწიკა, (?)
იმაღზედთ, ზეგის მეორე დღე.
იჰო, იჰ!
კავლომ, კავი, крюкъ.
კაკალ, კაკალი; უ. უყ, წ. ხეკკარ.
კაკაბ, კაკაბი; წ. გაჰკაბა.
კაკანი, უ. კაკაბსუნ, წ. გაგალა.
კაკაჩ, კაკაჩი (დამე მთვარით ნათელი, საბას. ლექსიკ).
კამმეჩ, კამბეჩი, მ. კამბეში, ლაზ. გომიში, წ. გემიშ.
კამს, კარგია, კაია; კაის, მოვალ, კარგი, მოვალ.
კაპრაშ, ყვითელ-მოწითლო (იხ. საბას ლექსიკ.), ნარ-
კარაზანად, (მც.) [გიზის ფერი].
კარკატან, მჩვარი.
კარწას, წენგო. [ეკლის ღობე].
კაწ, ღობეზე სავლელი ბილიკი. შეად. კაწანი,

– 102 –

კაწად, ხის მომცრო ჯამი.
კაჭად, ნაჭერი ნესვისა და მისთანათა.
კაჭვა, ცელვა.
კდარ, მკვდარი; მ. ღურელი, ს. ლი-დგარ.
კედ (ძაბ), ძაფი (ოქრომკედი).
კუკრუხ, მოლოტი.
კვერცხევალი, ერბო-კვერცხი.
კეხვად, ნისკარტით ჩაკვრა; ჩაჰკეხა, ჩანისკარტა.
კილან, თიხის პაწია ფიალა, ჯამი.
კიდბან, კიდობანი, ს. კიბდვენ.
კიკომ, ტიკინი.
კინად, რკინა, ს. ბერეჟ (აქედგან გვარი ბერეჟიანი).
კინკილო, თხილის ბუჩქის ყვავილები; კინკილებს,
 კონწიალებს. გურ. კვინკვილა.
კირკილ, ჩრჩილი.
კირკნად, კენკვა, გამოკიკვნა.
კლავ, მკლავი; მ. კილე, ს. მეკარ, უ. ქულ, წ. ხი-

ლეჰბი (მკლავები).

კლერტომ, კლერტი. ამოკლერტვად, ხნულის გაწმენ-
და ძირკვებისა და გამხმარ ბალახ-ბულახისაგან.
კნატ, კვნიწი; კნატ, კნუტი, კნოტი.

კოიპა (კოპიჭა), ტანდაბალი კაცი, ჩია კაცი (საბას
ლექსიკ: „კოპიჭი, მიწა შეყინებული“).

კოლა, მაგიერ; მის კოლა, მის მაგიერ (კოლა სიტყვიდ-
გან კვალი (კუალი); საზოგადოდაც ითქმის მის
კვალად, მის მაგიერო.

– 103 –

კოლ, კვალი; დაკოლეს, კვალი გაატარეს; დაკოლეს,
დაჭლიკეს; კოლსუკან წაუდა, კვალს გაჰყვა.

კოლტ-კოლტი, მურკლ-მურკლი; კოლტ, მურკლი.

კოკომ, კვერი, კოკორა.

კომლ, კვამლი, ბოლი. მ. კუმა, ს. კუამ, უ. კუინ.

კორთემ, თარო (საბას ლექსი. იკორთა, ფიცრის
თარო).

კორკორამ, ბარად სოკოსავით ამოზურცებული გორა-
კორსალამ, ბზრიალა (შეადარე სორსლებას). [კი.

კოტომ, გრძელტარიანი გოგრის ჭურჭელი.

კოფსალ, კუფხალი.

კრენჩხამ, კრეჭა; გაკრინჩხა, გაკრიჭა. გურ. ხუჭვა.

კუდბაწალა, ყურბელა (იხ. ყურბელა).

კუდრუცანამ, ცხვრის დუმის კუდი.

კუდურ, კუდა, უკუდო,

კული (ტული, ტუგნა...), ტუგია,

კუნზ, ხის სამფეხა სკამი.

კუნტამ, კუტი (პური).

კურკომ, კრკო

კურკურამ, გვრიტი.

კურტ, კრუხი; კურტაბულამ, домохдъ.

კუტი, წიწილეებიანი კრუხი; (კრუტი, საბას ლექსიკ).

კუჰკუმ, გუგული; კუჰკუ, გუგუ; ს. გაგუ; უ. კუჰ-
კუ, წ. დაკუმ.

კანტალამ, თვალის ფჩხილი.

– 104 –

კანტახ, კლდისა ანუ აწოწოლავებულ მთის მწვერვა-
კარაშტა, კვირისტავი. [ლი (კორტოხი?)

კაც კვიცი, კუიცი, კიცვი.

კუჭულამ, ყურიანი ლიტრა.

ლაგლაგ, უ. ლანგლენგ, წ. ლაკლაგ,

ლალუმ, ჩჩვილთა საძილე ჭოჭინა.

ლამ, შლამი.

ლაილამ, საჭოჭინე ნანინა.

ლაპარიკ, ლაპარაკი; ლაპარიკობს.

ლარტამ, ნაკაფი კაკლის ხე საქერქედ.

ლასტ, ჩელტი, ლასტი წკნელისა.

ლაფოჩინამ (ლოფოჩინა), ლოკოკინა, მ. ფერწო,

ს. მჰყანც, გურ. ლოქორია.

ლაფჩინ, წალა, უ. ლაფჩინ (იმერეთში ყველგან

ლაფჩინს ამბობენ)

ლალღოზ, მალღა და წვრილად აყრილი ხე (ლექსი-

კონში „ლალღოზა, წვრილი სარი“).

ლეფ, ალალი (ფრინვ.).

ლექლარ, «ფრაკის მსგავსი საცმელი.

ლეხლ, ლელვი, მ. ლული, ს. ლულ.

ლეჩაქ, წ. ლეჩაქ.

ლილი, საამური ღიღინი საბას ლექსი. „ლილია,

ჩჩვილთა მიერ ლამაზი).

ლიცლიც, ლიცლიცი (შეადარე. სვან. „ლიც“, წყალი).

ლოგინ, кроват. (ნახე საბას ლექსიკ.); ფართალ,

ლოგინი.

– 105 –

ლულეინ, ლულეინი, лейка.

მამბალ, დამაკებულს მუცელი რომ შეეტყობა.

მარაზ, ფოჩები დაყოლებული წვრილი თოკი

მარჟეინი, მარჯვენა, მ. მარმგვანი, ს. ლარისგვან.

მაიხეიტა, მოიხვეტა, უცბად გაიქც-გადიკარგა.

მასკან, მასკვან, მერმე.

მასკულამ, ვარსკვლავი, მასკვლავი.

მაღამ (მოფ), მოდი; წამ, წადი.

მაჩქატელამ, ღამურა (საბას ლექსი. მაჩქათელი),

გურ. მეღამია.

მაჭეკალ, მაჭანკალი.

მეეგდა, მოედო (защипилось); მეეგდა, მოეთრია.

მეზხეულ, მეზობელი (მეზხედი, ეზო); ს. მეზხეულ

მეზხეურ, მოზვერი, ს. მეზ, მრავლობ. მოზარ.

მელაკუდა, რქაწითელი (ყურძ.).

მემზანაგობამ, ქორწილის წინაღამის ვახშმობა ნეფიო-

ნის უახლოეს ნათესავებისა (სიტყვიდგან მზა,

მზაყოფნა).

მემზანაგეფ, მემზანაგობის სამახარობლოდ სადედოფ-

ლოსას გაგზავნილი კაცი.

მენამ, горшучный чань, ქოცო რომ შუა წელამდე

მენაკ, ვენახი. *)

[იყოს ამოყვანილი.

*) ვახის სამშობლოდ - მეცნიერებს მიაჩნიათ საქართველო (იხ. ალფ. დეკანდოლის „Мѣстопроеихъ въздѣлываемыхъ растений, გვ 191–193). ვენახ-ღვინის სახელი ჩვენ-

– 106 –

მეღლან, მეტის-მეტად შავი, მრუმი.
მერანდი, მოწითალო ყურძენი.
მერახული, საშემოდგომო სხალი,
მეროვ, რა ვიცი, რა ვთქვა.
მილო, ლამაზო, მოხდენილო (ალერსი კატისადმი).
მინ, ვინ, მ. მინ; მინაა? ვინ არი; მინამ, ვინმე; არც-
მინამ, არავინ.
მიწრომ, ვიწრო, მიწრო, იწრო.
მიხივხივებს, მიიზღაზნება, плетется-
მოკ, მოკვდი; მოვკ, მოჰკ, მოკდო (მოკვკდი, მოჰკვ-
დი, მოკვდა).
მომ, მო, მოდი; წად, წა, წადი; მივ, მიდის, მივა
(ლს), მეგრ. მეურს; მოხადეу, მოხვიდე, მოხვი-
დედ

შიაცა და ბევრგან სხვაგანაც თითქმის ერთი და იგივეა: vinum (ლათ.) oinos (ბერძ.), vigne (ფრანგ.), вино, виног-
радный და სხ. ჩვენში „ლ“ ხან ემატება სიტყვებს, ხან აკლ-
დება: ვაჭარი-ღვაჭარი (ხევსურ.)-ღვაჭარ (სვანურ.), ვაჟი –
ღვაჟი (ხევს.)-ღვაჟ (სვ.), ლევა-ლლევა (ხევს), მეტი-ღმეტი
(კაკ-ელ), დღეინდელი-დღენდელი (ხევს.), ასვლა-აღსვლა,
ადგომა აღდგომა, მიაღწია მიაწია და სხ. და ამიტომაც,
საფიქრებელია, რომ უძველეს დროს ან „ღვინო“ (მეგ. ღვინი,
სვ. ღვინალ, ღვინელ, კაკ-ელ. ღსნეღ) ითქმოდა ვინო-დ და ან
„ვენახი“ ღვენახ-ად (მეგრ. ბინეხი), და ამ შემთხვევაში ეს
სიტყვა უნდა წარმოებულიყო არე: ღვინეხი-ღვენახი-ვენა-
ხი-მენაკ.

– 107 –

მოთოლა, ჩამოსთვალა; ჩათოლ, ჩათვალე; ჩათლსთ
(по складамъ) წაიკითხ.
მოჟამებულ, მომწიფებულა.
მოსადრვა, სატანისამოსო ნაჭრის გამოუჭრელად ტან-
ზედ დაზმანება (სადარი, მოსადარი, შესადარი).
მოსარქლება, პირქვე დამხოზა ქვაბისა და მისთანათა;
მოსარქლა, გადმოაბრუნა სავსე ქვაბი ან სხვა
ჭურჭელი; (მოსარქლება სიტყვიდგან სარქველი).
მოფეხვაი, გამოდარება; მოიფეხა, გამოიდარა; ს.
მაფხე.
მოღება, მოტანა, მ. მოღალა.
მრიალი, ბრიალი; თოლები დაუმრიალა

მუგუზ, მუგუზალი, ს. მუღვაზ, გურ. ნუგუზალი,
 მურ, მური, ახალ გამოსული პარკის ჭია.
 მუხად, უ. მაკნახოდ, წ. მუჯ.
 ნამ, ნამი, უ. ნამ, წ. ნამ.
 ნავ, ნავი, მ. ნიში, ს. ნავ, უ. ნავ, წ. ნავ.
 ნანად, ნენა (დედა), ლეკ. ნინო.
 ნაულელ, ნაღველი, ს. ნანღველ
 ნაეკლა, მოკლული ნადირის თავ-ყელ-კისერი მისის
 მკვლელის წილად.
 ნაწყვ, დაკვნიწებული ბრინჯი; წეკვა, კვნიწება; კეარცხ
 დაიწეკა, კვერცხი ნაკრავია; წეკა, ჩეკა.
 ნელად, ჯიში ხეხილთა, რომლის ნაყოფი გვიან მწიფ-
 დება; ადრეულად, ნელაზედ ადრეული, მაგ. შვინ-

– 108 –

დი ზოგია ნელა, ზოგი ადრეულა, აგრეთვე ად-
 ნებერ, ქაფი, პერი. [რეულა თხილი და სხ.
 ნეარგ (მეარგ), მორგვი.
 ნეუს, ნესვი.
 ნეტა, ნეტავი, ნეტარ; მ. ნოტე, ს. ნატლავ [კიჭი.
 ნიგორ, ნიორი, ს. ნივრა; ნაგრიკიჭ, ნივრის კბილი,
 ნიკნიკა, კიკნია; ნიკაპ დაუყენებლად მოლაპარაკე.
 ნინიმა, ძროხა (საალერსო სიტყვაა).
 ნიღნიღად, ჯუჯღუნა.
 ოთქუმ, წელის ტკაცუნება, ჭკანტი.
 ომო, ამო, ამოდი; ჩაი, ჩადი.
 ოხად, ბარაქალა, ვაშა.
 პანკლან, წვირიანი, პანკვლიანი.
 პაპად, მ. ბაბუ, ს. ბაბა, უ. ქალ-ბაბა, წ. ბაბა – დედე.
 პატა, ცოტა; პატპატა, ცოტ-ცოტა;
 პატრად, პატარა,
 პაშტად, პაშტაი, საკმაო. (იხ. რუსთავ.)
 პირ, პირისახე; ყბავ, პირი.
 პირანდ, აღმა წასვლა; თავქეუ, ქვემოთკენ წასვლა.
 პირყუა, დაჩლუნგებული (პირი ყუად ქცეული),
 პიწიწად, პაწაწა; პიწწად, პაწია.
 პუწიკა (პუწია), პაწია ხბო (საალერსო სიტყვაა).
 ჟაგი, ჯერჯი, ჯაგი; ცახის ცოცხი.
 ჟანგო, ვითარცა: ქა ჯან ანუ ქა (გო შემოკლ. გოგო).
 ჟევედ, მჟავე.
 ჟევანად, მჟაუნა.

– 109 –

ჟენგრად, დაბერებული სვია.

ჟერგამ, მწკრივი, რიგი, კვალი; ჟერგა. ჟერგა, რიგ-რიგად; „ჟერგა-ჟერგა ბალებო, ლამაზ-ლამაზ ქალებო“. *)

ჟინამ, ზემო სართულის „ბალკონი“ (ალბად სიტყვიდგან ზენა, მეგრ. ჟინი, სვ. ჟიბავ).

ჟინჭარ, ჭინჭარი, მ. ჭუჭელი, ს. მეოხელ.

ჟიჟნაყ, დაბეჭილი, ძვალ-რბილი გასწორებული, ჟიდ, მჯიდი.

ჟორ, ჯვარი; ორ გაჭრა, ჯვარის წერა.

ჟრილ, ქვაბი რომ ვერ იტევდეს მოსახარშ რასმე.

ჟულ, რჯული, სჯული (თუმცა-ღა ამბობენ ურჟულო და არა უჟულო).

ჟუნკამ, ჟონა.

ჟუნტამ, სურდო.

ჟუტ, ფურთხი, მ. ფურტინა, სვ. ნაშყ; შეაჟუტა, შეაფურთხა (დუჟი?)

რამბე (თ), რათ, რისთვის. [გეუბნება

რამმ, რამე; მა რაისა, მაშ რა არი; რას გებნება, რას

რინკ, უღელი ძაღლთათვის რომ ვენახში ვერ შევიდნენ; დარინკა, უღელი დაჰკიდა, (რიკი?).

რიწყ, სარჩო-საბადებელი; რიწყს გაგიწყვეტ, ლუკმას **როჟინ**, კამეჩის ყროყინი. [მოგისპობ.

*) ჩარიგებულო ბლებო
ლამაზ-ლამაზ ქალებო.

რუგუარა (ჰუგუარა), როგორ არა (რაგუარ არა).

სა (სადა), მ. სო, სოდე; სა არისა, სად არის.

საბზუემ, საბზევე.

საგრილომ, ქოლგა (თათრ.)

სავაზირომ, დასასაქმებელი ყმაწვილი ან კაცი; დაჰვაზირა, შეუკვეთა; დავაზირებული, შეკვეთილი.

საზაზ, დასტამალი,

საზვემ, სარძევე თახჩა.

სათოლე, სათვალე, მ. სათოლე, ს. სათალ,

საიკალ, ბოძკინტი, подпора.

საკან, დიდი კიდობანი, ბეღელი,

საკეკ, საკენკი; საკეკი-ქარ, შაკიკი.

საკეჟს, კვესი; კეჟსება, კვესება.

საკუწულ, სქელი ფიცარი, ხორცის დასაკეპ-დასანაყად.

საკმელ, საკმეველი, მ. ოკუმაფუ, ს. საკმელ.

საკუნზურ, მწვადებ აგებულ შამფურის დასაფიცხებელი სასთაული.

სალოკ, კლდიდგან მჟონავი მთის წყარო, მონადი-

რეთაგან დამლაშებული ნადირთა სალოკად.
სამარვან, სამაროვანი, სასაფლაო.
სამხტომ, ზვარაკი, საღმთო.
სანაყელ, ავანგდასტა (სპარს.)
სასელამ, სახლის გარემეშო წვიმის სადენი მცირე თხ-
სართხამ, ტყავების გასართხმელი ჭიგოები. [რილი.
სასტულ, სასთაული, ბალიში (სპარს.).
საფუარი, ხაში. მ. საფარი, ს. საფუარ

– 111 –

საყორელ, საყვარელი.
სედრამ, სერა.
სეულ, შრატტი.
სეუფულ (სეველ), სველი, სოველი,
სიზედი, სიძე, მ. სინჯა, ს. ჩიჟე.
სიმარტლ, ზღმარტლი.
სიპ, სარქველი; სიპიქუად, სარქველის ქვა.
სირთ, სერი მთისა.
სლანკ (წლანკ), თხელ-თხელი წვენი.
სლუკ, სვლიკი, проворный.
სმინდ, სიმინდი.
სონილ, სანელეხელი.
სტეუნა, სტვენა, წ. seut. [გელოზი.
სულისამღებელ, მომაკვდავის სულის მიმღებელი ან-
სულპურ, ალაპი, ორმოცის წირვა (სულის პური).
სუნაკ, მსუნაგი.
სარსულამ, სირსველა.
სხალ, მსხალი, მ. სხული, ს. იცხ, წ. ჯიხა.
სხოი, სხვა, სხუა.
სხოპლამ, სხვირპლი, сыпь.
ტაბლამ, მკვდრის კერძი.
ტაბლობამ, ახალი მკვდრისა ანუ ძველთა მოსახსენე-
ტალახამ, ელენთა. [ბელი ალაპი.
ტანამ, ხბო (რუსთავი „ტანა – ჯორი“).
ტანკეტ (ტანკიპ), მცირე კალათა.
ტანსომოზ, ტანისამოსი; ფეხსომოზ, ფეხსამოსი.

– 112 –

ტარბაკ, აპოხტი მსხვილი ნაწლევისა.
ტარ, თითისტარი.
ტატამ, დიდი ტორი, მ. ტუკი, ს. ფაუ.
ტელამ, блинь.
ტეხებამ, ატყდომა; ნუ მეტეხები, ნუ მიტყდები, ნუ
ტეჰამ, ტყეპა; დამტეჰა, გამტყიპა. [მყეხები.

ტიკამ (წიკამ), წიწილა (საალერსო სიტყვაა.)
ტიკი-ტიკი, წია-წია.
ტიხამ, კრიალოსანი ჩამიჩისა, ხრიალა ნიგვზისა. და-
ტიხა, ტიხები აასხა.
ტიხრი, მეტად მაგარი მიწა; ქუატიხრ, ქვატიხრი.
ტკეველ, მტკაველი, მ. ტკუ.
ტკუფა (ტკვეფა), პირისპირამდის ჭედით ამოვსება.
ტოლ, წყებანი საჭიეში პარკის ჭიათათვის. ტოლტო-
ტომაც (ჩომაც), ჩომბახი. [ლი, წყება-წყება.
ტონი; რა ტონის კაცია, რაფერ ჩაცმულობის კაცია;
შავ ტონიანი კაცი და სხ.
ტორახუტ, კამა.
ტრედ, ტრედი, მ. ტორონჯი, ს. მუგვ. (გვრიტი).
ტრიმ, გრძელკუდა (უდუმო) ცხვარი.
ტურამ იხეაზ, მზიურად რომ წვიმს.
ტყელ, ბრტყელი;
ტყემ, უ. ჭალაგ, წ. ჭალაგ.
ტან, ტვინი. ს. თველ.
ულაყებ, შესაბმელი საქონელი.
უმზალ-უმარილო, უგბილი.

– 113 –

უმზრახობამ, წითელი პარასკევი (ვინც ამ დღეს დი-
ლით ადრე ადგება და უმძრახად ქლიავის ხის
ქერქს უკბენს, მას მისი ნაყოფი კბილს ვეღარ
მოსჭრისო).
ურწან, ცოლ-ქმრობის გემოს გაუღებელი ადამიანი,
ქალწული.
ულელ, მ. ულუ, ს. უღვა, უ. ოყ, წ. ოქჰ.
უჩულ, ავადმყოფს რომ ნაწყენი გამოაყრის.
უცან, ძაღლის საწამლავი (მცენ).
ფათალომ, სურო (საბას ლექსიკ: „ელიანდრე, სუ-
ფათათურ, ხელთათმანი. [რო, ფათალო).
ფალ, საბუდარი კვერცხი.
ფალასამ, კაბაგრძელკალთიანი; ფალასაი, ფრთებ ჩამო-
ყრილი; დაფალასებული, ავადმყოფობისა გამო
ფრთებ-ჩამოყრილი ფრინველი.
ფანკაცამ, гигантъ.
ფარომ, ფთილა.
ფასალლიმ, блины.
ფაფაჩხალამ (ფაფაჭყალამ), ფლავი რომ ძირს – ნაფ-
ხეკას გაიკეთებს.
ფაყაწამ, ძღარბი; ალბად სიტყვიდგან ფაყ (ფაფაყ) და
წამ (წადი). საბას ლექსიკ. „ფაყთა, თავზე და-
სახურავი“).

„ფაფახი უირ არ მიჭრის“, არა მჯერა.
ფალად, ლობიო, ბაკლა, უ. ფახლა, წ. ბაყალი.
ფაშ, ფაშვი, ს. ფაშარ.

8

– 114 –

ფაცულიჰ, неряха.
ფეატ, ფეტვი, ს. ფატვ, წ. დიკ.
ფუეზედგომელ, офиціантъ.
ფიც, ფიცი, ფუცი; მ. ფუჩი.
ფლავ, უ. ფლავ, წ. ფლავ.
ფორ, ობი; დაფორება, დაობება.
ფარტ, ფილტვი, ფირტვი, მ. ფიჟვი ს. პერშვა.
ფუსტუყ, ფუნჩულა.
ფუჩ, ფუჭი. გაფუჩებულ, გაფუჭებული.
ფშუნვა, ფშვინვა.
ქათამ, მ. ქოთომი, ს. ქათალ, უ. კოკოწ, წ. კატემ.
ქამ, რქა; მ. ქა, ს. ქარახს; ქებ გემეება, რქები გა-
ქამარ, წ. ქამერ. [მოება.
ქალმან, ქალამანი, უ. ქალამ.
ქარაცხორ, (საბას ლექსიკ: «ქარა, უყურო ცხვარი».)
ქარსავ, თავ-ქარიანი, несосредоточенный.
ქექერი, ღორის მსუქანი ტყავი.
ქერეჭამ, სქელ-მოყომრალ კანიანი ნესვი, ქერეჭ,
მარიამჭიისა და მისთანათა ზემო ფრთები.
ქათილამ, ფურცლის პატარა ტოტები.
ქიჩინჩომ, ჯიბლიბო, მ. ქუჩუჩი, ს. ბინბილ, უ. ბიბიკ
ქოკქოვ, (თამაშობა; ვისიმე ფაფახს მოთამაშენი წინ
წაიგდებენ და ფეხის ამოკვრით შორს აგდებენ).
ქომბამ, ცხელ ნაცრის ქვეშ გამოცხობილი პური
(შეადარე მეგრულს ქობალი, პური).
ქომოთი, ქვემოთი (ქვემოდგან).

– 115 –

ქომქომ, ქვემო მხრიდგან.
ქონდრიკაც, ქონდრის კაცი.
ქულბამ, დიდი ქურა.
ქუჟომ, (საქუსალი?).
ქურმუხი საყდრიმა, ქურმუხის საყდარის მადლმა (ფი-
ქურუხ, პირქუში, угрюмый. [ცილია).
ქუქურდ, გოგირდი.
ქუშუპპა, სკუპი; გურ. წკვერტა, მ. წკაპი, ს. ლი-
ქუჩუ, ძაღლის დასაშოშმინებელი ძახილი. [სკვნე.
ღამეჲ, ღამე, წ. ჰხამ.

ლაჭო, ხაჭო.

ლდელ, მღვდელი, მღდელი, მ. პაპა, ს. პაპ, ბაპ, ჩა-
ღერობა, მღერა. [ჩნურ. მომღურ.

ღირღნა, ღრღნა.

ღმერთ, მ. ღორონთი, ლაზურ, ღომორთი, ს. ღერბეთ,
ღერმეთ, წ. ღინიშ, თავასარ. ღუცარ, ოსურ.

ხუცაუ, ჩაჩ. დელი.

ღმერთიმა, ღმერთმანი (და ასრევე ფიცილი: ზისმა)
(მზისმანი *).

ღმეტ, გარდა; იმი ღმეტ, იმის გარდა.

ღინჭილო, ღვინჭილა.

ღლივანწ, სუსტი და წვრილად ტან-აყრილი.

*) თქმა: „თამარის მზემა“, „შენმა მზემა“ და სხ. ალბად
ნაშთია იმ დროისა, როდესაც ქართლოსიანნი თავყვანს სცემდნენ მზეს.

– 116 –

ღულ, წვრილ-კბილა ნამგალი. (ღულამე)

ღურბელ, ღრუბელი.

ყაპყაპი, ურიის ყვავი.

ყალაღ, ჭოლოკი.

ყალაღან, (საბას ლექსიკ. „ყალაღან, უგვარო, მაღა-
ლი და სუსტი“),

ყახაჟ, ცხერის ღორი.

ყელ, ყელი, ს. ყია, უ. ყოყ.

ყინტორა, (მცენ.); გაყინტრა, ერთი მოსმით გადა-
ყლესფა, ბრტყენა, ს. ლი-ბანტყორი. [კაფა.

ყოვ, ყვავი, მ. კვარია, ს. ღვამალ, უ. ღავნა,

ყოშურა (ზღაპრებში), ყვანჩალია.

ყოვიჭყანტა, ყვითელ ყვავილებიანი ბალახი.

ყორავა, ისვრიმი.

ყოყო, მაღალ-მაღალი და ყელყელა კაცი.

ყროლ (ყრალ), მყრალი, ს. ყრალ; აყროლა, აამ-
ზორა, ამყრალა (აამზორა სიტყვიდგან მზოგ-

ყოხუჟ, კოხუნჯი. [რი).

ყორყოტ, წერო, ღერღეტი.

ყურ, ყური, წახ. კჳრი.

ყურბელა, ბოსტანა.

ყყ, ღრმად მოხუცი კაცი (დაცინვის კილოის სიტ-
შანგლა, არეულ-დარეულად მითიბგ-მოთიბვა. [ყვაა).

შაპ, შაბი.

შარანდელ, შარშანდელი; შარს, შარშან.

შაშ, შაშვი, უ. ჭაჭი.

– 117 –

შეუკ. საზამთრო ნესვისა და მისთანათა მიწაზე გრძლად
გართხმული ღერო.

შეუნიერ, შვენიერი.

შეღ, შედი; შომო, შემოდი.

შეღელ (შეღტან), შეიტანე.

შეშტრანგ, შანთრანქი.

შეცნევა, დაფარულის მიხვედრა; შეგაცნივ, ნაძლევი
მოგიგე, „აიდოსტ“.

შადლობით, შვიდობით, ს. შვიდეზდ.

შიბი, წრე ქსოვაში (ნახე საბას ლექსიკ.)

შიტრიკ, ცუნცრუკა.

შიშაჲ, შეშა; მ. **დიშქა,** ს. ზექ, უ. უშ, წ. ოს.

შიდანწლ, შვიდანწლი.

შილ, შვილი, ე. ი. მხოლოდ ვაჟი: ორ შილ მყავ,
ორი ვაჟი მყავს; ორ ქალ მყავ, ორი ქალიშვი-

შინდ, შვინდი; შინდრიან, შვინდნარი. [ლი მყავს.

შიფრობაჲ, ცეკვა (საბას ლექსიკ. შუშპარი).

ჩაჲ, ჩადი; ჩომოი, ჩამო (-დი).

ჩალლუჲ, ცელი, ს. მერჩილ.

ჩარჩავ, ჩარსავი.

ჩაფარ, ყავრის ლასტი.

ჩად, გვიმრა, ჩადუნა.

ჩააკუსკუსა, მწყაზრად და საყვარლად მოიუბნა; ჩა-
კუსკუსება, **держать увлекательную рѣчь.** (შეად.
ფშაურ-ხევსურულს „მეკუსება“).

ჩაცუნცება, ჩაცუცქება

– 118 –

ჩაქულ, ფურცლის დაბალი ხე.

ჩაღარღანა, არხზედ გაკეთებული ჩახრიალა.

ჩაჰბაკანი, პატარძალის ოჯახის წილი გაგზავნილი
ნეფისაგან.

ჩაჰკრა, მოულოდნელად რამე წილად ჰხვდა. ჩავკარ,
ბედმა გამიღიმა და წილად მხვდა რამე.

ჩილაგ, ჩლაგი, უერბოვო ფლაგი.

ჩინკერ, გამოწურული და გამომშრალი ხორცი და
მისთანანი. [ხვრეტა.

ჩორკ, წვრილი და გრძელი ცული; ჩორკნა, ჩორკით

ჩომოხეთქულ, მეწყერ წამოსული ადგილი მთისა.

ჩუბეჲ, ჭიპი, ჩუბუტო (ნახე საბას ლექსიკ.)

ჩულურ, ჩავარდნილი ადგილი (ჩულურეთი).

ჩუჩაჟ. ჩინჩაყვი.

ჩხა, კაჩხა, вѣшалка.

ჩხილ, ფრჩხილი, მ. ბირცხა, სვ. ცხა.

ჩხანკ, ჩხიკვი.

ცამ, ცა, ს. დეც.

ცირიხ, ელამი.

ციცამ, მშიშარა, გაუბედავი.

ცან, ცვილი, წმინდა სანთელი.

ცხენიმგეულ, ცხენის გველი (ფერით წითელია და მეტად შხამიანი).

წაბლ, მ. ჭუბური, უ, წაბულ, წ, წაბულ.

წაგილ, მოგიგე, დაგძლიე.

წალდ, მ. ბურჭული, ს. წალდ, უ. კიროპ, წ. კირაპ.

– 119 –

წაპრ (ზაპრ), ძაპრი.

წარაბაკანამ, ღობემძვრალა ჩიტი. საბა სწერს: „წრა-
პაკანი ყოველთა სირთა უმცირესია“.

წაფა, წევა, გაწევა; გაწაფული, გაჭიმული. (მოწაფე?)

წაღან, წელან; წაღანდელ, წელანდელი

წელ, წელიწადი, მ. წანა, ს. ზა, უ. უსენ, წ. სელ.

წეულამ, წველა (მაწონი); სწეულავს, სწველის.

წეურ, მწვერვალი; წეურ, წვერი, ს. ვარე (და აქედ-
გან ვარსიმი, დალაქი).

წეubeული, წუხელ, წ. მიჭახტა, მწუხრი.

წიგიპ-წიგი (ჭუჭუ!), ჯუჯუ!

წივანა-ბალახ, შირაქის ბალახი. [წილებად.

წავაწივა, ხე რომ ადვილად გაიპატრება მრავალ ნა-
წილვა; კიტრი დაწილა, რაც კიტრი იყო დიდწერი-
ლიანად მოკრიფაო; წილ, ახლად გამობმული

წიკომ (ციკან), თიკანი, ციკანი, წახ. წეპ. [კიტრი.

წინდამ, უ წინდაკ, წ. წინდა.

წინკრ, კენწერო კინწირო; წინკერენა (ზღაპრებში),
ფრინველი, კენწერ-კენწერ მიმომფრინავი.

წინტუ-ტუ, (ფრინ.)

წიპლანკ, მეტად წვრილი, წერწეტი.

წიწილამ, კოწოლი, დალალი, კავები, მაწაკი, (წიწილს
ჭუჭულს ეძახიან).

წკინკა, ბრწყინვა, მ. წკინუა, ს. კჩრი (შეად. კრია-
წკლინტ, სკინტლი. [ლა).

წკლუნტ, აბრეშუმის ჭიის განავალი.

– 120 –

წკიპარტლ, წკიპურტი,

წნეხა, გრეხა წნელისა, ვაზისა და მისთანათა, საქმედ
დაწნია, საქმე გააბრუნდა, სიმართლის გზიდან

წოდ, მწვადი, ლეკურ. წოდ. [გადიყვანა.

წოვემ, მწვავე.
 წუმპალ, დიდი წვეთი.
 წუმწუმამ, ალთაფა (თათრ.).
 წამამ, წვიმა, მ. ჭვიმა, ს. უჩხა: (ს. ლექს. „ისხარი,
 წაწლასტ, წოწოლა. [ჩქარი წვიმა“).
 წყილ, რწყილი, მ. წყირი, ს. ზისე.
 ჭანკა, ლეკთა აზნაური.
 ჭიმ, მიწა ბალახიანათ აჭრილი ბარითა, дернъ.
 ჭირჭიმა, მაჟალო, პანტა.
 ჭიუჭიყა, ყიჭყიჭა.
 ჭიჭნაგურ, ძეხვი-აპოხტი.
 ჭიჭნაური, (საბას ლექსიკ: აბრეშუმი (სპარს.)
 ჭკილ, ჩლიქი, ჭლიკი, მ, ჩირქი, ს. ჩილქ.
 ჭლივ-ჭლივი, ჭიკჭიკი მერცხლისა და მისთანათა.
 ჭრემ, მჭრელი.
 ჭორტკლ, მჭვარტლი.
 ჭოლ, მჭვალი.
 ჭროხ, ჭროდა.
 ჭულუკ, ცელქი.
 ჭურმაჭუჭუხ, წვრილმანი და ჯოღლო-მოღლო ხალხი.
 ხარტვა, ქვევრის გარეცხვა, ვიდრე გაწითლდებოდეს.
 ხახ, მ. ხარხვი, ს. ხახვ.

– 121 –

ხახრამ, სარკმელი.
 საჭეკალ, საეკლე ორთითი,
 ხემ, ხე; მ. ჯა, ს. ზექ, მეგამ.
 ხიკსივობს, ვაინაჩრობით სცხოვრობს,
 სოვ, ხვაგი, მ. ხვე, ს. ლუ-ზვერ.
 ხრალ, ფურცლის (ჩაქელის) სხვილი ტოტები (ნახე
 ხულ, ხვალე. [საბას ლექსიკ.)
 ხუთულ, ხუთი ხელეური.
 ჯალეზამ, ხრაკვა; მოკალეზულ ქათამ, მოხრაკული ქა-
 თამი (საბას ლექსიკ. „კალვა, მარცვალთ შეწ-
 ვა;“ დაამხალა, დასწვა-დასდაგა, მწვავედ სცე-
 ჯარზაბამ, გარეული მტრედი. [მა.
 ჯარი, მ. ხოჯი, ს. კან.
 ჯაფკაფი, ძლიერი დუდილი.
 ჯევ, ხევი, უ. ხე (წყალი), წ. ჰქან.
 ჯულევლ, ხელეური.
 ჯელმანდილ, მანდილი, ს. ჯისმანდ.
 ჯემწიფემ, მ. ხენწიფე, ს. კელწიფ *)
 ჯერკალ, ხირხალი.
 ჯინცვა, შეკინცვა, მჭიდროდ ჯდომა ადამიანთა.
 ჯმოზამ, ს. მანგა, жхи.

ჯნა, ხენა, მ. ხონუა, ს. ლი-ჯნი.

*) ხელს მეგრულად ჰქვიან ხე და ამიტომაც ხან ითქმის ხე-მწიფე და ხან ხელ მწიფე.

– 122 –

კნულ ხნული (ნახნავი), მ. ნახონა, ს. ლი კან *)

კოცა, ხოცვა, ს. ლი-ცე.

კრულ, მხურვალი.

ჰაბა, აბა; ს. იაღო, უ. ბელა.

ჰადსლ, ადვილი.

*) მაქს მიულერი სწერს (Hayka o мысли, გვ. 309 310):

„ფესვი khan ნიშნავს თხრა-ბარვას, და ფარგალი მისის მნიშვნელობისა იზომება ცნებებით თხრა-ბარვა, წყლა, ოხრება-შეკვრა, ბარი, თავგი, ორმო, ჰა, ცა, არა რა, khan გამეორებული ფესვია და kh თავდაპირველად უნდა ყოფილიყო sk. ფესვი skan არ ყოფილა სანსკრიტულში, ხოლო kshan, რომელიც მისი მაგიერია, ნიშნავს წყლას, წყენინებას; ამავე დროს ფესვი Kha (ska) ეკავშირება skan-ს, რომელიც ნიშნავს ჭრას.

„ახლა თუ ავიღებთ ფესვს khan არა მხოლოდ თხრის, ე. ი. ჭრის, ნიადაგის კვეთის მნიშვნელობით, არამედ საზოგადოდ ჭრა-კვეთის მნიშვნელობით, მაშინ შეგვეძლება ავხსნათ მისგან წარმოებული სიტყვებიც:

1) მოქმედის აღმნიშვნელი სიტყვები: khaa, khanaka (მთხრელი, ქურდი, თავგი, თხუნელი, ულაცი ცხენი, canalis, (cuniculus), khani, khanitar, akhou (თხუნელი, თავგი, ღორი, ქურდი).

2) მოქმედების აღმნიშვნელი khanana, khati.

3) იარაღის khanayitri (ბარი), khanitra (გრდემლი), khatra.

4) შედეგი მოქმედებისა: khana (ორმო), khani (ქანი), khata (ორმო, ჰა), კეტოს, კეტოსი, სკატა (ქვაბი), kha (ჰა, წყარო), kha (სიღრმე, ორთქლი, ეთერი, არარაობა).

5) დათხრილი ადგილი: khana“

– 123 –

ჰაისა (რასა), რა არი.

ჰაკაკ, აკაკი (მცენ),

ჰაჩიჩაჲ, აჩეჩი, კავი

ჰე, ეგე; ჰეგ, ეგ. ჰემგამ, ე მაგან.

ჰემენია (რემენია), რომელია.

ჰიშ! ხარის გასარეკი ხმა.

ჰერ, იარე.

ჰოგჰა! ჰოო-ჰო!

ჰომოზს, ისწრაფის გზა გაიკაფოს, იბრძვის.

ჰელვარდ, ელვა; მ. ვალუა, ს. ლიჰლალი.

მიუღერის თქმით, თავდაპირველად ყოფილა 121 ფესვი და ამათგან, ზემოთ მოყვანილ სახით, გამდიდრებულია ენა.

ამავე კანონის მიხედვით, ალბად, ჩვენებური ხვნა-დამ წარმოებულან:

ა) სიტყვანი, აღმნიშვნელნი მომქმედთა: მხუნელი (კაკ-ელისენში ჳნჲლ), თ-ხუნელი, ჳარი, მეგრ. ხოჯი, სვ. ჳან.

ბ) სიტყვანი სამოქმედონი: ჳნა, ხნვა (ხუნა), მეგრ. ხონუა, სვ. ლი-ჳნი;

გ) სიტყვანი საიარაღონი; სახნისი, მეგრ. კინა-ხონა, სვ. ლენცვიმ (ლენწვიმ); (ალბად ერ-ქუანი-ც, ოქოქაც და აჩე ჩაც წარმოსდგა სიტყვებიდამ ქექვა, აჩეჩვა).

დ) სიტყვანი, აღმნიშვნელნი შედეგისა: ხნარცვი (ჳნარცვი),

ე) სიტყვანი, აღმნიშვნელნი ადგილისა: საჳნავი (ნახნავი), ხნული, მეგრ. ნახონა, სვ. ლი-ჳან (კაკ-ელისენში მოჳან მოხანი).

კაკ-ელისნურად.	მეგრულად	სვანურად.	უდურად.	ღლიღურად. (ინგუშურად)	ყუბაჩურად.	წახურულად.
ერ, ერთ, [ცალ	ართი	ეშრუ	სა	ცა	სა	სა
ორ სამ	ჟირი სუმი.	ჰერი (ჰური) სემი	პა ხიბ	ში კოჰ	კჳე ყებ	ყეუბლე ხეიბლე
ოთხ	ოთხი.	ვოშთხვ	ბიჰ	დიჰ	ოდ	დეყებლე
ხუთ	ხუთი	ვოხვიშდ	ჴო	ფხიჰ	ხუ	ჴობლე
ექს	ამშვი	უსგვა	უჴ	ჴელხ	ექ	ჴიხიბლე
შად	შეჴვითი	იშგვიდ	ვულ	ვორ	ჴე	იღიბლე
რუად	რუო, ბრუო	არა	მულ	ბარ	კა	მოიბლე
ცხრად	ჩხორო	ჩხარა	ვუდ	ის	უჴუნ	ჴაჴუბლე
ათ	ვითი	იეშდ (ჴეშდ)	ვიწ	ით	ვიწ	ჴიწიბლე

თერთმეტ	ვითართი	იემდეშვი	საწე	ვიწნუსა	ჰიწუსაბ
თორმეტ	ვითოჟირი	ჰემდერვი	ჰაწე	ვიწნუკვა	ჰიწუყაბ
ცამმეტ	ვითოსუმი	ჰემდსემი	ხიბეწე		ჰიწიქეზე
თოთხმეტ	ვითანთხი	ჰემდვოშთხვ	ბიპეწე		ჰიწეეყვაბ
ხუთმეტ	ვითოხუთი	ჰემდვოხვიმდ	ჯოწე		ჰიწუხაბზ

თეჲსმეტ	ვითამშვი	ჰემდუსგვა	უჰწე			ჰიწიხაბ
შადმეტ	ვითომქვითი	ჰემდიშგვიდ	ვულწე			ჰიწიხაბ
რუამმეტ	ვითორუო	ჰემდარა	მულწე			ჰიწუმა- [ლებ
ცხრამმეტ	ვითოჩხორო	ჰემდჩხარა	ვუდწე			ჰიწიჰაჰაბ
ოც	ერი	ჰიწიგაბ	ყა	ტყჰ	ლა	ყააბლე.
ოცი და ერთ	ერიდოართი		საყოსა		დანუსა	ყადსაბ
ოცი და ათ	ერიდოვითი	სემემდ	საყოვიწ	ტყეით	ყებწალ	ქებწად
ორმოც	ჟარნეჩი	ვოშთხვეშდ	პაყო		ოლწალ	ეუყწად
ორმოცი და [ათ	ჟარნეჩიდო [ვითი	ვოხვიშ- [დეშდ	პაყოვიწ		ხუწალ	ხოწალ
სამოცი						

სამოცი და	სუმანეჩი	უსგვამდ	ხიბყო		ექწალ	ჰინწალ
[ათ	სუმანეჩი დო	იშგვდამდ	ხიბყოვიწ		ვეწალ	ჰიდწალ
ოთხმოც	[ვითი,					
ოთხმოცი და	ოთხონეჩი		ბიპყო		კაწალ	მოოლწალ
[ათ	ოთხონეჩი	არაამდ	ბიპყოვიწ		უჭუმწალ	ჰუჭალ
ას	[დო ვითი	ჩხარაამდ				
ათას (მინ)	ოში	აშირ	ბაშ	ბეეპე	დამ	ვაშ
	ანთსი	ათას	ჰაზარ	ითბაე	აზი	ააზირ